პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 აგვისტო, კვირა, 1989 წ.
№ 156 (10 075) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მუშათა სპარტაკიადა

## მომავალ შეხვედრამდე!

### ეს იყო მასობრივი სპორტის დიდი ზეიმი

**გუშინ** მოსკოვში დამთავრდა პროფკავშირების პირველი მუშათა სპარტაკიადა. უკან დარჩა მასობრივი კომპლექსური ასპარეზობა, რომელშიც 3000-მდე მონაწილე იყო. დაძაბულად მიმდინარეობდა გამოსვლები სიმძიმის აწევაში, ფრენბურთში, ტურისტულ მრავალჭიდში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში... რაც შეეხება მძლეოსნურ კროსს, აქ მაყურებელმა სარბიელზე იხილა საოჯახო გუნდები, საწარმოო ბრიგადები, ინტერნაციონალური ნაკრებებიც კი. საინტერესო იყო აგრეთვე ტურნირი გამაჯანსაღებელ ტანვარჯიშში, რომელიც მომავალში უნდა დაინერგოს ჩვენში. „ლოკომოტივის" სტადიონი კი ინვალიდ სპორტსმენებს დაეთმო.

სულ სპარტაკიადაზე გათამაშდა მედლების 230 კომპლექტი, 57 გუნდური პირველობის თასი, 250 სპეციალური პრიზი. მთავარი კი ის არის, რომ სპარტაკიადაზე სუფევდა ოლიმპიური სულისკვეთება, მთავარია მონაწილეობა! ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და ყველა რესპუბლიკიდან ჩამოსულმა (მათ შორის 80 კაცი საქართველოდან იყო), აგრეთვე სპარტაკიადის 24 ქვეყნის სტუმრებმა უამრავი მეგობარი და კეთილმოსურნე შეიძინეს. ალბათ ესეც არის ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ღირსებათაგანი.

უცხოელი სტუმრები ერთსულოვანნი იყვნენ სპარტაკიადის მნიშვნელობის შეფასებაში.

ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში საქმისწარმოება — მხოლოდ მშობლიურ ენაზე

ჩვენი ენა. ქართული...

## როგორ სრულდება ბრძანება?

**როგორც** ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სპორტსახკომმა გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის კონსტიტუციური უფლების განმტკიცებას რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში (იხ. „ლელო" №118, 21 ივნისი, 1989 წ.). როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, სპორტსახკომის სპორტუზრუნველყოფის სამმართველომ 1989 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს სპორტსახკომის სამმართველოებისა და განყოფილებების ქართული საბეჭდი მანქანებით მომარაგება (ძირითადად არსებული არაქართული მანქანების შრიფტის შეცვლით).

ამ საკითხში გულგრილობა დაუშვებელია. რედაქცია ერთხელ კიდევ შეახსენებს ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, ამ სფეროს ყველა დაწესებულებას, რომ ბრძანების განუხრელად შესრულებაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი. ჩვენი რედაქცია თხოვნით მიმართავს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, უახლოეს დღეებში გვიპასუხონ ორ შეკითხვაზე:

1. რა ღონისძიებები გაატარეთ საქართველოს სპორტსახკომის ბრძანებაში აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკულად განსახორციელებლად?

2. რა პრობლემებს აწყდებით, კონკრეტულად რა გიშლით ხელს ბრძანების შესრულებაში, რა უნდა გაკეთდეს?

რედაქცია წინასწარ დაუკავშირდა ორ პასუხისმგებელ მუშაკს და გააცნო ეს შეკითხვები. დღეს გთავაზობთ მათ პასუხებს:

**არჩილ მეგრელიძე,**
**აჭარის ასსრ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე:**

1. ჩვენ თითქმის მთლიანად გადავედით ქართულ ენაზე საქმის წარმოებაზე. სპორტსახკომის ბრძანებით უფლება მოგვეცა ყველა ჩვენს რგოლში კატეგორიულად მოვითხოვოთ ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დაცვა.

2. პრობლემები არა გვაქვს, ოღონდ ქართულენოვანი საბეჭდი მანქანის შოვნა, შეკეთება ან გადაკეთება გვიჭირს. კარგი იქნება, თუ ეს საქმე ცენტრალიზებული წესით მოგვარდება.

**ნანა ბალაშვილი,**
**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე:**

1. ჩვენი ორგანიზაცია დიდი ხნის შექმნილი არ არის და პირველი დღიდანვე საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზეა. გვქონდა ორი ქართული და ერთი რუსულ ენაზე საბეჭდი მანქანა. სპორტსახკომის ბრძანების გამოქვეყნების შემდეგ ის რუსული საბეჭდი მანქანაც ქართულად გადავაკეთეთ. ჩვენ საკავშირო ორგანოებთან მიმოწერა არა გვაქვს და უფრო ქართულშრიფტიანი მანქანა გვჭირდება.

## სტაიერი და თარჯმორბენლები

**ბადაჭრით** შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებში ყველაზე უფრო გამოირჩევიან 110 მეტრზე თარჯმორბენლები. ზუსტად ძნელია იმის თქმა თუ როგორ მოხდა ამ ერთი სახეობის ასეთი პოპულარიზება, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ჩვენმა თარჯმორბენალმა ჯერ კიდევ ჭაბუკთა ასაკში მიაღწია კარგ შედეგებს და დიდი იმედი მისცა მწვრთნელებს, ოღონდ ეგ არის, შემდგომში მთლიანად ვეღარ განახორციელა მათი მონაცემების რეალიზება, ისინი სხვებზე უკეთესად კი გამოდიოდნენ საკავშირო ტურნირებში, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, მათგან უფრო მაღალი შედეგებია მოსალოდნელი, თუკი წვრთნის პროცესი ნორმალურად წარიმართება.

თარჯმორბენლებისათვის იქნებ თავისებური შემობრუნების წერტილი გახდეს ის წარმატება, რომელიც მათ ვილნიუსში, მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში მიაღწიეს. 110 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო გელა ვეშაპიძე (პროფკავშირები), რომელმაც საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა — 13,16. III ადგილი კი კიდევ ერთმა თბილისელმა სპორტსმენმა იგორ ივანოვმა („დინამო") დაიკავა — 13,8.

ვილნიუსში გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ქვეყნის ექსჩემპიონმა ოლეგ სტრიჟაკოვმა (თბილისი, „დინამო"), რომელიც პირველი მიიჭრა ფინიშთან 5-კილომეტრიან დისტანციაზე — 14.02,1.

ტელეტაიპი - მკითხველი

● **მოჭადრაკე** ვაჟთა მსოფლიო პირველობის ფინალში მატჩი გაიმართება საფრანგეთის ქალაქ ლიონში. ასე გადაწყდა ფიდე-ს კონგრესზე, რომელიც ჩატარდა პუერტო-რიკოს ქალაქ მაიაგუესში. როგორც განაცხადა ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა, ეს გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ, ადრე მატჩის მონაწილენი ვერ რიგდებოდნენ ქალაქის არჩევანში. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაიცავს თავის წოდებას პრეტენდენტთან, რომელიც ჯერ არაა ცნობილი. ამ უფლებისათვის იბრძვიან ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი (ორივე — სსრ კავშირი), ჯონათან სპილმენი (ინგლისი) და იან ტიმანი (ჰოლანდია). სხვათა შორის, ლიონმა გამოჰყო ყველაზე დიდი ჰონორარი უმთავრეს საჭადრაკო მატჩთა ისტორიაში — 3 მილიონი შვეიცარიული ფრანკი და ძვირადღირებული პრიზი გამარჯვებულისათვის.

● **ამერიკელმა** ოლიმპიურმა ჩემპიონმა როჯერ კინგდომმა ყველას აჯობა 110 მეტრზე თარჯრბენში იტალიის ქალაქ გროსეტოში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. მისი შედეგი — 13,10 წამი წელს საუკეთესოა მსოფლიოში.

● **ბუდაპეშტში** დამთავრდა ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 23 ქვეყნის 700 წარმომადგენელი. ყველაზე უკეთ იასპარეზეს სამხრეთკორეელმა სპორტსმენებმა — მათ ანგარიშზე ხუთი პირველი ადგილია. სამჯერ გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მოსწავლეთა შორის ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ სამსონოვი. მან გაიმარჯვა ერთეულთა და წყვილთა (ს. ვასილიევთან ერთად) თანრიგებში.

● **ტრედბო** (ავსტრალია). შვედმა სამთოთხილამურემ ლარსბერიე ერიქსონმა გაიმარჯვა 1989-90 წლების მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამის პირველ სახეობაში — გიგანტურ სლალომში (53 კარი, სიმაღლეთა სხვაობა — 390 მეტრი). მისი შედეგია 2 წუთი და 29,80 წამი. მეორე იყო გიგანტურ სლალომში თასის შარშანდელი მფლობელი ნორვეგიელი ოლე-კრისტიან ფურუსეტი — 2.30,05, მესამე — ავსტრიელი გიუნტერ მადერი — 2.30.17. სპეციალურ სლალომში ყველას აჯობა დასავლეთგერმანელმა არმინ ბიტნერმა — (2.1.93). ფურუსეტი ამჯერადაც მეორე იყო.

ტელეტაიპი - მკითხველი

## ანონსი

მომავალ კვირაში ჩვენს გაზეთში წაიკითხეთ...

● პასუხი ქართველი ფალავნებისადმი იური შახმურადოვისა და ჟურნალისტ ვ. გოლუბევის ცილისმწამებლურ ბრალდებაზე. პასუხს ერთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის გურამ სალარაძის კომენტარი.

● სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმზე ეოკ-ის წესდების განხილვასთან დაკავშირებული დაწვრილებითი ამბები.

● რაგბი — გზა წინსვლისა: დიახ, ეროვნული ჩემპიონატი!

● გამოხმაურება წერილზე: „საჭიროა თუ არა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?"

ფიზკულტურელის დღის აღსანიშნავად

## გთხოვთ, მიულოცოთ...

პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მიულოცოთ ფიზკულტურელის დღის 50 წლისთავი ამ საზეიმო დღის დამფუძნებელი ღონისძიების მონაწილეებს ალექსანდრე ჯორჯაძეს, ელენე გოკიელს, გიორგი ბაბილოძეს, მიხეილ ქელეხსაშვილს, ოთარ დიდებულიძეს, აკაკი ხუციშვილს...

**ვიგა დვალი,**
საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის, შრომის და ომის ვეტერანი.

ეს კადრები გუშინაა გადაღებული თბილისის „დინამოს" სტადიონზე. ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ მასობრივ ღონისძიებებში, რომელიც სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით გაიმართა, ამ სპორტული საზოგადოების წევრი ახობით თანამშრომელი მონაწილეობდა.

ალბერტ ვაჩიანის ფოტო.









## წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**კრივში** — კახაბერ ბარაიას (თბილისი, „შრომითი რეზერვები")

**თავისუფალ ჭიდაობაში** — გივი სისაურს (თბილისი, „შრომითი რეზერვები")

**სამხატვრო ველორბოლაში** — ვიტალი მუშკუდიანს, ელისო დოხნაძეს (ორივე — ქუთაისი, პროფკავშირები), ელენა ალეევას (თბილისი, პროფკავშირები)

**მხატვრულ ტანვარჯიშში** — ელადა კოზმოვას, ნანა ლონდარიძეს (ორივე — რუსთავი, სახალხო განათლება)

**ძიუდოში** — მალხაზ თოდუას (თბილისი, პროფკავშირები)

**ცურვაში** — დიანა სვინჩენკოს (თბილისი, „დინამო"), არჩილ მეცხვარიშვილს (თბილისი, პროფკავშირები)

**წყალში ხტომაში** — ნანა ძიძიგველაშვილს, ოლეგ ვასილჩენკოს, ინგა ბანდურს (სამივე — თბილისი, პროფკავშირები), დიანა ლენჩუკს (თბილისი, სახალხო განათლება)

**ჩოგბურთში** — სიმონ ელიგულაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

## ჟამი ფიქრისა. ჟამი განსჯისა

**წარუმატებლობა საქართველოს მძლეოსანთა გუნდისთვის უჩვეულო ამბავი არ გახლავთ. ამის მიზეზია ჩვენი მძლეოსნობის განვითარების დონე, რომელიც, მსოფლიო სტანდარტებზე აღარაფერს ვამბობთ, საშუალო საკავშირო მაჩვენებელსაც საგრძნობლად ჩამორჩება.**

**ალბათ** კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი მძლეოსნების მარცხი IV ახალგაზრდულ თამაშებზე, თუმცა ასეთ ფიასკოს ბევრი იქნებ მაინც არ ელოდა — გუნდი დონეცკში 21-ე ადგილზე დარჩა 23 კოლექტივს შორის და მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ სომხეთს აჯობა.

თუ საქართველოს მძლეოსანთა ბოლოდროინდელ შედეგებს ჩავუკვირდებით, აშკარაა: მათ თავიანთი საუკეთესო ან საუკეთესოსთან მიახლოებული შედეგები რომ ეჩვენებინათ, დონეცკში ასე ცუდად არ გვექნებოდა საქმე. ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა მოსამზადებელი სეზონის დასკვნითი ეტაპი თბილისში გაატარა და, გაწვრთნილობის მაღალ ხარისხს ვინ ჩივის, ის დონეც ვერ შეინარჩუნა, რომელსაც მისმა წევრებმა მიაღწიეს სამიოდე კვირით ადრე, საქართველოს ჩემპიონატში.

## ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ



კარგია, როცა ყველა ცდილობს რესპუბლიკურ ჩემპიონატში თავი გამოიჩინოს, მაგრამ სეზონის მთავარმა შეჯიბრებამ რაღა დააშავა? არა გვგონია, ამაში ბრალი მარტო იმ ფულად პრემიებს მიუძღოდეს, „შინაურ" ტურნირზე პრიზიორებისთვის ახლა პირველად რომ დაწესდა. აშკარაა მწვრთნელთა შეცდომები. ზოგმა მძლეოსანმა დონეცკში ისეთი შედეგი აჩვენა, გეგონებოდათ, სულ სხვა სპორტსმენები ასპარეზობენო. ამასთან, იქვე, დონეცკში, არავის გამოუთქვამს დასაბუთებული მოსაზრება, რატომ მოხდა ასე. ბევრი სპეციალისტი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა.

ჩვენ ახლა კერძო შემთხვევაზე ვსაუბრობთ, იმაზე, თუ რატომ ვერ მოემზადა ჩვენი გუნდი უკეთესად ახალგაზრდული თამაშებისთვის. უკვე შეიძლება გაკეთდეს ანალიზი მომავლისათვის, უფრო დაიხვეწოს მომზადების გეგმა და სხვა. მაგრამ მთავარი სულ სხვაა — მთელი ჩვენი მძლეოსნობის მდგომარეობა, რომლის გამოც, თუკი იგი სასიკეთოდ არ შევცვალეთ, მუდამ დიდი მარცხისა და იშვიათად, წვრილმანი წარმატების მეტს ვერაფერს ვნახავთ. აი, ეს არის ძირეული საკითხი.

არადა, ლოგიკა გვიკარნახებს, რომ არის ყველა საფუძველი, ჩვენს მძლეოსნობას აგრერიგად არ უჭირდეს. თანხა საკმარისი გამოიყოფა მისი განვითარებისთვის. ბაზები, მადლობა ღმერთს, ბოლო ხანს მოგვემატა. მწვრთნელთა შტატიც სრულიად საკმარისია. რაღა დარჩა? დარჩა მონდომება და სპეციალისტთა კვალიფიკაცია, აგრეთვე ახალგაზრდების სწრაფვა მძლეოსნობისაკენ.

მძლეოსნობის პოპულარობა — ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს — არ არის ისეთ დონეზე, როგორც, ვთქვათ, ფეხბურთში ან კალათბურთშია, თუმცა მთლად უნუგეშოდ არ არის საქმე. მით უმეტეს, რომ მწვრთნელები ძირითადად არ უჩივიან მოწაფეთა სიმცირეს, თანაც მონდომებითა და კარგი აგიტაციით ამ ამოცანას ყოველთვის გადაწყვეტ.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ წლების განმავლობაში მძლეოსნობის უხეირო ხელმძღვანელობამ და, აქედან გამომდინარე, მწვრთნელთა მონდომებისა და კვალიფიკაციის დაქვეითებამ მიგვიყვანა 21-ე ადგილამდე.

ეს ახალი აზრი არ გახლავთ, ადრეც ხშირად გვითქვამს ამის შესახებ. მერე რა გამოვიდა? — ისევ ათასგზის ნათქვამს ვუბრუნდებით. სად არის გამოსავალი?

ამბობენ, მზამზარეული რეცეპტები არ არსებობსო. იგი ერთად უნდა შეიმუშაონ სპეციალისტებმა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მძლეოსნობის ახალ ხელმძღვანელობას, რომელმაც სულ რამდენიმე თვეა ჩაიბარა ეს პოსტები, მუშაობის სულ სხვა, ახალი გეგმები და პრინციპები აქვს. მემკვიდრეობა მათ მძიმე შეხვდათ; შედეგს კი... ალბათ უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით გზაჯვარედინზე ვდგავართ და არავინ იცის, საით უნდა ავიღოთ გეზი. ეს მწარე სინამდვილეა. იქნებ ღირდეს, რომ ახლა, როცა სპორტის დამოუკიდებლობა აქტუალურ საკითხად იქცა, განვითარების სხვანაირი, ჩვენი გზა ავირჩიოთ? მარტო საკავშირო დებულებებით ხელმძღვანელობამ, სხვას არ ვიცი და, ჩვენ მძლეოსნობაში სარგებელი ვერ მოგვიტანა. თუმცა ყველაფერი ისეა ჩაწნული ერთმანეთში (საკავშირო მასშტაბით), ეს უძნელესი ამოცანა უნდა იყოს. ის კი ნათელია, რომ ძველი კანონებით ხელმძღვანელობა აღარ შეიძლება...

ახლა არ შეიძლება მძლეოსნობაზე ილაპარაკო და არ ახსენო ისეთი პრობლემა, როგორიც სადოპინგო კონტროლია. რა დასამალია, ზოგ ჩვენს მწვრთნელს სწორედ ამან გაუტეხა გული. იმდენ და ისეთნაირ წამლებს იკეთებენ, ვერავითარი მომზადებით ვერ გაუტოლდებიო, — ამბობენ თავიანთი შეგირდების მეტოქეებზე. გადაჭრით არ ვამბობთ, შესაძლოა ჩვენს სპეციალისტებშიც ერიოს ერთი-ორი „ალქიმიკოსი", მაგრამ ტოტალურმა „დოპინგიზმმა" სრულიად დაამახინჯა რეალობა მძლეოსნობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ გაიგებ, ვინ რისი შემძლეა (ამის შესახებ მასალა დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტის" 1 აგვისტოს ნომერში, სადაც აშკარად იყო მინიშნებული აკრძალული პრეპარატების გამოყენებაზე. სწორედ IV ახალგაზრდულ თამაშებზე), ამიტომ დოპინგზე ორიენტირებული ბევრი მწვრთნელი იმასაც კი ვერ აღწევს მუშაობაში, რასაც პატიოსანი გზით მიაღწევდა. დოპინგი აზარმაცებს მწვრთნელებსაც და სპორტსმენებსაც. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბევრი 60-70-იანი წლების „სუფთა" მძლეოსანი ფუნქციური მომზადებით სჯობდა ახლანდელებს, რომლებიც „ქიმიაზე" დაყრდნობით აღწევენ მაღალ შედეგებს.

ასეთი ამბების გამო გულგატეხილობა მაინც კაპიტულაციას ნიშნავს. მით უმეტეს, რომ ახლა, ვგონებ, მართლა დაიწყეს გადამჭრელი ზომების მიღება დოპინგის წინააღმდეგ. როგორც უცხოური წყაროებიდან შევიტყვეთ, ბევრი აღარ დარჩა ისეთი აპარატის შექმნამდე, რომელიც ზუსტად დაადგენს რა გარეშე ნივთიერებები მიიღო ორგანიზმმა ბოლო წლების (!) განმავლობაში. იმედია, ეს მეთოდი, რომელიც ადამიანის გენების თავისებურებებზეა დამყარებული, საბოლოოდ ამოძირკვავს დოპინგს სპორტიდან. ბევრი სპეციალისტი ხომ ახლა ამტკიცებს, რომ ბენ ჯონსონთან დაკავშირებული სკანდალის მიუხედავად, სეულის ოლიმპიადის დროს დოპინგზე თვალი დახუჭეს.

ასე რომ, „სპორტის დედოფლის" განვითარება ყოველგვარ პირობებშია საჭირო, მით უმეტეს, რომ ჩვენი სპორტიც, სხვა სახეობებში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, უმძლეოსნებოდ როგორღაც ღარიბი ჩანს.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**



**წითელი ბარათი ბიუროკრატიზმს!**

# საიდან ასეთი თავგასულობა?

## მაინც, ვის და რის ინტერესებს იცავს პროფკავშირი?

**თავიდანვე** ვიტყვით, რომ ამ ამბის გახმაურება პრესის საშუალებით არ გვინდოდა, მაგრამ შეცდომის გამოსწორებას და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვას არადა არ დაადგა საშველი. პირიქით, წაყრუებამ, რომელმაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ინსტანცია მოიცვა, ხაიმედო კედელი აღმართა სიმართლისა და სამართლიანობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული აქტიურობით კი თავი მაინც პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოიჩინეს.

როგორც იტყვიან, ყველაფერს აქვს დასაწყისი. ეს ამბავი დაახლოებით ამ 6 წლის წინათ დაიწყო. 1982 წლის 16 სექტემბერს თბილისის საცხენოსნო სპორტულ ბაზაში იწერება ბრძანება № 92, რომლითაც დირექტორი ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულს გ. მანიევას (დიპლომში ჩაწერილია ფიზკულტურის მასწავლებელი, ჩოგბურთის მწვრთნელის სპეციალობით) ნიშნავს ბაზის სასწავლო ნაწილის მეთოდისტად. ეს უკვე დარღვევაა, ახალგაზრდა სპეციალისტი უნდა გაიგზავნოს სპეციალობით სამუშაოდ, აქ კი...

გადის დრო, საცხენოსნო სპორტის მეთოდისტად ჩოგბურთელის გაფორმებას (დიახ, გაფორმება და არა მუშაობა, რადგან მანიევა როგორც არასპეციალისტი არაფერს აკეთებდა) რაღაც საფუძველი ხომ უნდა ჰქონოდა. ამ შემთხვევაში ბაზას შემწედ მოევლინა...

1983 წლის 11 ოქტომბერს თბილისის სპორტკომიტეტის ერთ მყუდრო ოთახში სამუშაოზე გაგზავნის საგზური გამოწერეს. მანიევას მიულოცეს და საგზური მეხამასე, „საიუბილეო" ნომრით თავაზიანად მიართვეს. საგზურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საცხენოსნო ბაზაში მანიევას საერთო ფიზიკური მომზადების მწვრთნელად თვეში არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ 12 საათი უნდა ემუშავა. რა საერთო ფიზიკური მომზადება, რისი 12 საათი. მანიევას, ჩოგბურთელს, როგორც ზემოთ ვთქვით, უკვე მანამდე განაღდებული ჰქონდა ცხენოსნობაში მეთოდისტის ადგილი. ამ მეთოდისტს ჯერ საგზურიც არ ჰქონდა მიღებული, რომ 1983 წლის 1 სექტემბრიდან უკვე ხელფასზე დამატებით 50 საათის გასამრჯელო დაუნიშნეს.

სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მეთოდისტად ამ სახეობის სპეციალისტი რომ უნდა მუშაობდეს, ეს ყველამ კარგად იცის. მეთოდისტის მოვალეობა რომ ჩამოვთვალოთ, შორს წავალთ. მოკლედ ვიტყვით, ესაა სპორტის სახეობის სპეციალისტი, რომელსაც არჩევენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოთაგან, რადგან სპორტსმენების მეთოდური დახმარება ადვილი საქმე არ არის. ის დამატებითი 50 საათიც იმისთვისაა კანონით გათვალისწინებული, რომ მეთოდისტი არ მოსწყდეს პედაგოგის თუ მწვრთნელის პრაქტიკას, საქმეში აიმაღლოს პროფესიული მომზადების დონე. მანიევას ეს არ აინტერესებდა. ამ 6 წლიწადში ერთი დღეც არ უმუშავნია სპეციალობით და პრაქტიკულად ერთი მეცადინეობაც არ ჩაუტარებია. არც რაიმე სურვილი გააჩნდა ცხენოსნობა შეესწავლა. თავს რაზე შეიწუხებდა, როცა ხელფასი და ზედ წამატებული 50 საათის გასამრჯელო თავისთავად მოდიოდა (თუ სამართლიანობაა, ხელფასზე არაფერს ვამბობთ, წლების განმავლობაში უკანონოდ უწყისით მიღებული იმ დამატებითი 50 საათის თანხა უნდა დაუბრუნდეს ბანკს). ყოველივე ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, ცხენოსნობაში, მის წამყვან კერაში — თბილისში, მაღალი კლასის მხედრები თუ აღარ იზრდებიან?

მაგრამ ყველაფერი, რაც ითქვა, მაინც იმ ამბების ერთი ნახევარია, რამაც ხაოცარ წინააღმდეგობამდე მიიყვანა საქმე. ამ რამდენიმე თვის წინათ საცხენოსნო ბაზაში მივიდა ახალი ხელმძღვანელი. მან, ცხადია, მოისურვა კადრების გადახალისება და გამრუდებული გზის გასწორება, მაგრამ... ნურას უკაცრავად, როცა საქმე მანიევაზე მიდგა და, როგორც არაკომპეტენტური სპეციალისტის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების პროექტი დაიწერა, დირექტორს მოახსენეს, მაგას ხმასაც ვერ გასცემთ — პროფკავშირული ორგანიზაციის ადგილკომის თავმჯდომარეაო. იმ დღეებში დირექტორი მივლინებაში წავიდა, სასწავლო ნაწილის გამგემ კი აიღო ბრძანების ეს პროექტი, გადაბეჭდა, ხელმოწერით და ბეჭდით დაამოწმა და გადასცა მანიევას, რომელმაც თავის მხრივ იგი საჩივართან ერთად საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირების თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტში წაიღო. მივლინებიდან დაბრუნებულმა დირექტორმა 16 მაისს პროფკავშირების იმავე კომიტეტში მიიტანა ახსნა-განმარტებითი ბარათი (რაც გაატარა კიდეც რეგისტრაციაში). მაგრამ 1989 წლის 30 მაისს კომიტეტმა პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილა მხოლოდ მანიევას განცხადება. „გაუქმებულ იქნეს საცხენოსნო დირექტორის ამხ. ა. ნ. დგებუაძის 1989 წლის 10 მაისის № 65 ბრძანება მეთოდისტი ამხ. გ. მანიევას სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე როგორც უსაფუძვლო" (სტილი დაცულია) — ვკითხულობთ დადგენილებაში. შემდეგ იქვეა დირექტორის ჰკუის დარიგება, რაც ასე მთავრდება: „მტკიცედ დაიცვას საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის ყველა მოთხოვნები". ხედავთ? არარსებული ბრძანება გააუქმეს, მერე რა რიხიანად(!) (საიდან ასეთი მბრძანებლური და დიდაქტიკურ-დიქტატორული ტონი?). იმ პრეზიდიუმს ა. დგებუაძე და „ლელოს" წარმომადგენელიც ესწრებოდა. დირექტორმა ბევრი ამტკიცა, ის ბრძანება წიგნში არაა გატარებული, ოფიციალური მსვლელობა არ მიმიცია, გთხოვთ დამეხმაროთ ბაზაში წესრიგის დამყარებაშიო, მაგრამ ვინ უგდო ყური.

ფუო თუ არა დაინტერესებული პრეზიდიუმი, მათივე დადგენილებიდან ამოღებული სიტყვებით რომ ვთქვათ, „შრომის კანონთა კოდექსის ყველა მოთხოვნის დაცვით?" განა მათ არ იციან, რომ არაკომპეტენტურობას და ხელფასის, როგორც უშრომელი შემოსავლის მიღებასა და ასევე უშრომლად დამატებითი თანხების მითვისებას შრომის კანონთა კოდექსი კრძალავს? ანდა, როცა დირექტორმა ამხილა ცრუ ბრძანების მორიგი ფარსი, რატომ არ დაუჯერეს? კი ბატონო, ნუ დაუჯერებთ, მაგრამ ხომ ითქვა, რომ მანიევა ერთი დღეც არ ყოფილა განთავისუფლებული სამუშაოდან და ხელფასსაც იღებდა? ამაზე მეტი საბუთი რა უნდა მოეტანა დირექტორს „ურწმუნოთათვის". მაგრამ არ ირწმუნეს. არ სურდათ და იმიტომ, პრეზიდიუმს თავისი ძალა ხომ უნდა ეჩვენებინა(!). არ დავმალავთ, მანიევას ბევრი ქომაგი გამოუჩნდა, მუქარის ანონიმური ზარი რედაქციაშიც გაისმა.

ა. დგებუაძემ ამის შემდეგ უმაღლეს პროფკავშირულ ინსტანციაში — კულტურის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს მიმართა სიმართლის გასარკვევად, მაგრამ ამაოდ. არც ეს კომიტეტი დაინტერესებულა იმით, რომ: 1. მანიევა კანონის დარღვევითაა გაფორმებული მეთოდისტად; 2. მეთოდისტის ხელფასს და 50 საათიან დამატებით ანაზღაურებას იღებდა უშრომელად; 3. მანიევას არა აქვს არავითარი სურვილი შეისწავლოს ის საქმე, რაზედაც გაფორმებულია; 4. შეთავაზებულ სხვა სამუშაოზე გადასვლას კატეგორიულად უარყოფს; 5. საცხენოსნო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის კომისია, რომელმაც შეისწავლა მანიევას კომპეტენტურობის საკითხი, თვლის თანამდებობისთვის შეუფერებლად და კატეგორიულად მოითხოვს მის განთავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან. სხვათა შორის, შარშან მანიევა ბაზის ხელმძღვანელობამ ატესტაციაზე არ გაატარა ქალაქის სპორტკომიტეტში.

ისლა დაგვრჩენია ვიკითხოთ: რის ინტერესებს იცავს პროფკავშირები? იმის გამო, რომ მანიევა პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეა (რომელიც სხვათა შორის, როგორც ადგილკომის ხელმძღვანელი, არასდროს დაინტერესებულა იმით, რომ როგორც თავად, ასევე ბაზის ბევრი სხვა თანამშრომელი, ხელფასს ყოველგვარი უკუგების გარეშე იღებდნენ), შეიძლება ხელშეუხებელი დარჩეს და ხელფასს, თანაც დანამატით, არაფრის გამო იღებდეს? (50 საათი წლეულს აპრილიდან მოუხსნა ბაზის ახალმა ხელმძღვანელობამ). კი ბატონო, კანონი კანონია, მაგრამ რაც მოხდა და ხდება მანიევასთან დაკავშირებით, კანონიერია? პროფკავშირი რატომ ბოლომდე არ გაერკვა საქმეში და არ დაეხმარება სამართლიანობის აღდგენაში სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც სხვათა შორის, ბიუჯეტზეა და არა სამეურნეო ანგარიშზე? კანონი იცავს ადგილკომის თავმჯდომარეს. კანონი, ცხადია, ჩვენც უნდა დავიცვათ, მაგრამ დავიცვათ საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. რას იცავს ამ შემთხვევაში პროფკავშირი? იცავს უსაქმურობას, სახელმწიფო სახსრების მითვისებას, იცავს არასპეციალისტს, უქნარას, ჯიბრიან მუშაკს და არაფრად აგდებს ქართული სპორტის ინტერესებს, ბოლოს და ბოლოს ასეთი წაყრუებით ხომ ხელს ვუშლით კოლექტივში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მაშასადამე ვაკანონებთ უწესრიგობას, ქართული სპორტის ხვალინდელ წარუმატებლობას.

მაინც, კიდევ როდემდე ვიქნებით ბიუროკრატიზმის ტყვეობაში?

## კვლავ იფეთქა ეპიდემიამ

სპეციალისტებისთვის კარგად ცნობილი საშიში ავადმყოფობის შედეგად ბოლო დროის განმავლობაში ესპანეთში კიდევ ორი ცხენი დაეცა. და ეს მოხდა კვლავ ანდალუზიის პროვინციაში, სადაც ადრე უკვე რეგისტრირებული იყო ამ ავადმყოფობის აფეთქება, რომელმაც 230 ცხენი შეიწირა. ახლანდელი ინციდენტი მესამეა. ბოლო სამი წლის განმავლობაში და მან კვლავ საეჭვო გახადა ბარსელონის ოლიმპიადაში ცხენოსანთა ასპარეზობა. ამ აზრს იზიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც. „თუ არსებობს ეპიდემიის საშიშროება. ამას უნდა გაეწიოს ანგარიში, — განაცხადა მან ამას წინათ სევილიაში. — და, იქნებ მართლაც უარი ვთქვათ ბარსელონის ოლიმპიადაზე ცხენოსნობაში ასპარეზობაზე".

ასეა თუ ისე, ანდალუზიის პროვინციის ხელისუფალნი სასწრაფოდ შეიკრიბნენ, რათა განიხილონ შექმნილი მდგომარეობა.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში უკვე იყო შემთხვევა, როცა ცხენოსანთა შეჯიბრება ცალკე ჩატარდა. ეს მოხდა 1956 წელს, მაშინ მხედრები სტოკჰოლმში გამოდიოდნენ, დანარჩენი სახეობების წარმომადგენლები კი მელბურნში (ავსტრალია) ასპარეზობდნენ.

## ფოტორეპორტაჟი ლევ იაშინის საიუბილეო მატჩებიდან ● მოსკოვი, 1989 წლის 10 აგვისტო



კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრები — იუბილარს ულოცავს კოტე მახარაძე.



მურთაზ ხურცილავა და ეუსებიო — ფეხბურთში ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფრაგმენტის „გამეორება“.



რევაზ ძოძუაშვილი და ფრანც ბეკენბაუერი.



ალექსანდრე ჩივაძე მაყურებელთა და რეპორტიორთა გარემოცვაში.

სერგეი კოლგანოვის ფოტორეპორტაჟი მოსკოვიდან მოგვა წოდა „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ოთარ ნოზაძემ.

ტურნირის ექო

# ეს წარმატებაც მოვიდა

## მედეა მხეიძე მსოფლიო ჩემპიონია

**რესპუბლიკის** სპორტსმენთა წლევანდელ მონაგარს კიდევ ერთი მიემატა. ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში 22 წლამდე ასაკის კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრი მედეა მხეიძეც გამოდიოდა, პირველი ადგილი და ოქროს მედლები დაიმსახურა.

ამ ტურნირის შესახებ ჩვენს პრესაში ძუნწი ცნობები გამოქვეყნდა. ახლა, როცა ჩემპიონატი დამთავრდა და მედეა მხეიძე შინ დაბრუნდა, ბრძოლის სურათი უფრო ზუსტად და კონკრეტულად შეგვიძლია აღვადგინოთ. შეჯიბრების მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში, სადაც ჩვენი ნაკრები ასპარეზობდა, გამოდიოდნენ: ბრაზილია, ჩინეთი, იუგოსლავია, კუბა და ესპანეთი. სპეციალისტთა აღიარებით მეორე ჯგუფის შემადგენლობა უფრო სუსტი იყო: ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, ავსტრია, ზაირი, აშშ და სამხრეთ კორეა.

საბჭოთა კალათბურთელებმა ჯგუფური ტურნირის ყველა შეხვედრა მოიგეს: ესპანეთთან — 93:91, ბრაზილიასთან — 100:53, იუგოსლავიასთან — 106:83, ჩინეთთან — 104:80, კუბასთან — 117:102. მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უფლება ავსტრალიისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა მოიპოვეს (პირველში კი ჩვენს გარდა იუგოსლავიამ).

ნახევარფინალში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკია (99:42), იუგოსლავიამ — ავსტრალია (81:65). III ადგილისთვის გამართულ მატჩში ავსტრალიელებმა ჩეხებს აჯობეს (69:61), ჩვენ კი ფინალში იუგოსლაველები დავამარცხეთ (109:93). თუ არ გავითვალისწინებთ საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებას, ჩემპიონატის ბევრი მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა, რამაც თავდაყირა დააყენა სპეციალისტთა ყველა პროგნოზი. ამ სიურპრიზებსა და ტურნირის სხვა დეტალებზე ვესაუბრეთ თბილისში დაბრუნებულ, ამჯერად უკვე მსოფლიო ჩემპიონს მედეა მხეიძეს.

● **პირადად თქვენ რა მიგაჩნიათ ტურნირის მთავარ სენსაციად?**

— მოულოდნელი შედეგი, მოგეხსენებათ ბევრი იყო, მაგრამ ჩემპიონატის პირველი დღის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი სწორედ ჩვენ შემოგვთავაზეს ესპანელებმა. ამ მატჩის შედეგი თითქოს ალარავის აეჭვებდა, მით უმეტეს, რომ ტაიმი საკმაოდ დამაჯერებლად მოვიგეთ. მაგრამ იოლი წარმატების მოლოდინში, როგორც ჩანს, ყურადღება შევასუსტეთ და კინაღამ მწარედაც დავისაჯეთ. ერთი სიტყვით, გამარჯვებას მივაღწიეთ ბოლო 7 წამში და ისიც მხოლოდ 2 ქულით.

● **რამდენი ხანია რაც ეს ტურნირი ტარდება?**

— პირველად ჩემპიონატი შეერთებულ შტატებში ჩატარდა ოთხი წლის წინ.

● **იქნებ შედარებისთვის შეგვახსენოთ იმ ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობა?**

— გამარჯვება 1985 წელსაც საბჭოთა ნაკრებს დარჩა. მეორე ადგილზე გავიდნენ სამხრეთ კორეის, მესამეზე — შეერთებული შტატების კალათბურთელები.

● **წლეულს სამხრეთ კორეისა და ამერიკის კალათბურთელები, როგორც ჩანს, სუსტად იყვნენ მომზადებული?**

— არავითარ შემთხვევაში. პირიქით, ფავორიტთა შორის ჩვენთან ერთად ამ კოლექტივებსაც ასახელებდნენ, მაგრამ პირველსავე ტურიდან მდგომარეობა იმდენად დაიხლართა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველამ უარი თქვა პროგნოზებზე. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სამხრეთ კორეამ დაამარცხა ამერიკის გუნდი. ამ წაგებამ იმდენად დააბნია აშშ-ს კალათბურთელები, რომ მათ მეორე შეხვედრაც დათმეს ავსტრალიასთან და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას ფაქტიურად გამოეთიშნენ. მომდევნო დღეს თავად ავსტრალია დამარცხდა ბულგარეთთან. ამან კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. მაგრამ ჩემპიონატის მთავარი სენსაცია მოხდა ბოლო დღეს, როცა ჩეხოსლოვაკიამ მოუგო სამხრეთ კორეას და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

● **ერთი შეკითხვა სტატისტიკის მოყვარულთა დასახმარებლად: როგორი შემადგენლობით თამაშობდა ჩვენი გუნდი და ვინ გახდა მსოფლიო ჩემპიონი?**



მედეა მხეიძე

— ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ელენა მოზგოვაია და ელენა ბუნატიანი (ორივე — ცსკა), ნატაშა ზასულსკაია, ირინა შევჩუკი და ანია პავლიხინა (სამივე — ლენინგრადის „ელექტროსილა“), ნატაშა ხოდაკოვა (ნოვოსიბირსკის „დინამო“), ელა საველიევა (ვოლგოგრადის „დინამო“), ელენა ვერგუნი (კიევის „დინამო“), ევგენია შვედი (მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“), ინგრიდა იონკუტე, იოლანტა ვილუკიტე (ორივე — კაუნასის „ბანგა“) და მედეა მხეიძე (თბილისის სპი). გუნდის მწვრთნელები გახლდნენ: მოსკოველი ვალერი კოვალიოვი და ვოლგოგრადელი ბორის მაიზერი.

● **ვინ თამაშობდნენ ძირითად ხუთეულში?**

— თამაშს იწყებდნენ ბუნატიანი, მოზგოვაია, ზასულსკაია, შევჩუკი და საველიევა. მერე, შეხვედრის პროცესში, ეს ხუთეული იცვლებოდა. მე, როგორც ცენტრალური თავდამსხმელი, მოზგოვაიას ნაცვლად ვთამაშობდი. ამ პრინციპით მეც და გუნდის სხვა წევრებსაც ყველა შეხვედრის ჩატარეშა მოგვიხდა.

● **ვისი გამოყოფა შეგიძლიათ ჩვენს გუნდში?**

— როგორც ყოველთვის ზასულსკაიასი. სხვათა შორის, ეს კალათბურთელი ევროპის ბოლო ჩემპიონატზე, რომელიც ვარნაში ჩატარდა, საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. იგი ბილბაოშიც, ჩემის აზრით, საუკეთესო იყო.

● **ტურნირის მონაწილეთაგან რომელ გუნდებს გამოყოფდით?**

— სამხრეთ კორეისა და ავსტრალიის კოლექტივებს. ისინი მოქნილი ტაქტიკით გამოირჩეოდნენ. მეორე შეტევისთვის ბევრი წინასწარ მოფიქრებული კომბინაცია ჰქონდათ და მათ საკმაოდ ეფექტურადაც იყენებდნენ.

● **ამერიკის გუნდზე რას იტყვით?**

— ეს იყო მშვენიერი კალათბურთელებისგან შემდგარი ანსამბლი. მწვრთნელმა ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი ჩამოიყვანა, რომელთაც აკლდათ გამოცდილება. მათი წარუმატებლობის მიზეზი, ჩემის აზრით, სწორედ ეს იყო. ამიტომაც წააგეს ამერიკელებმა ორი სასტარტო მატჩი.

● **რა პერსპექტივები აქვს ამჟამად თქვენს გუნდს?**

—მთელი ჩვენი შემადგენლობა დიდი ნაკრების კანდიდატთა სიაშია ჩარიცხული. ვინც ივარგებს, ის ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვდება. ყველაზე დიდი პერსპექტივა სწორედ ეს გახლავთ.

● **რამეს ხომ არ გადასცემდით გულშემატკივრებს?**

— მე მინდა კეთილი სიტყვებით მოვიხსენიო ჩემი პირველი მწვრთნელი ტალია ჩერმაკიანი, რომელმაც შემაყვარა კალათბურთი და გზაზე დამაყენა. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს დღევანდელ დამრიგებელს გარი არუთინოვსაც, რომელსაც ასევე დიდი ამაგი აქვს გაწეული ჩემს დაოსტატებაში.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი XIX ტურის შეხვედრები.

**„არაგვი“ (დუშეთი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:2. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).**

**„ივერია“ (ხაშური) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:2. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).**

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. ჩხაბერიძე („შადრევანი“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).**

**„სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია („სქური“), ფანჩულიძე („საპოვნელა“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. ხვარეშია და ტ. ლილუაშვილი (ორივე — „საპოვნელა“), ხოლო უხეში თამაშისთვის — ს. მამედოვი („სქური“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:2. მსაჯი ი. კახიანი (სამტრედია).**

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ნ. ფოცხვერაშვილი („სიონი“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი)** გოლი: მოდებაძე („მაღაროელი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: სანადირაძე.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მზიური“ (გალი) 3:5. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ბენდელიანი, ქარჩავა-2 („სამეგრელო“), ყოლბაია, მატუა, ვეკუა, ბოჭორიშვილი, ვარდანია („მზიური“).

### II ჯგუფი

#### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მიონი“ — „გარისი“ 1:2, „ალაზანი“ — „ჰერეთი“ 1:0, „გარეჯი“ — „ალგეთი“ 1:3, „შირაქი“ „მეტალისტი“ 3:1, „გამთიადი“ — სსი (მუხრანი) 2:5, „ქიზიყი“ — „კახეთი“ 1:3, „სინათლე სპ ინტ.“ — „სამგორი“ 3:0, სსი (მუხრანი) — „შირაქი“ 4:0, „ქართლი“ — „ზარზმა“ 5:3.

#### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ჩიხურა“ — „აბული“ 4:1, „მამისონი“ — „მესხეთი“ 2:0, „ფარვანა“ — „ქართლი“ 1:0, „იბერია“ — „თორი“ 3:2, „რაჭა“ — „ვარძია“ 2:3, „ლიახვი“ — „მეშახტე“ 1:4, „საირმე“ — „იბერია“ 5:2, „მეშახტე“ — „ფარვანა“ 3:0.

#### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ჩიბათი“ — „ბეთლემი“ 0:0, „ფაზისი“ — „ოდიში“ 5:4, „მშენებელი“ — „დვაბზუ“ 1:3, „მენავთობე“ — „სალხინო“ 1:0, „ბახმარო“ — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 2:2, „ხვამლი“ — „ეგრისი“ 3:4, „ზანა“ — „ნარინჯი“ 1:5, „გამთიადი“ — „მამისონი“ 1:3, „ბეთლემი“ — „მენავთობე“ 2:2, „სალხინო“ — „ხვამლი“ 3:2, „დარჩელი“ — „ფაზისი“ 2:1, „ოდიში“ — „ბახმარო“ 4:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 19 | 13 | 6 | 0 | 40-11 | 32 |
| „ამირანი“ | 17 | 8 | 7 | 2 | 29-15 | 23 |
| „სპარტაკი“ | 18 | 10 | 2 | 6 | 31-19 | 22 |
| სპი | 17 | 9 | 4 | 4 | 40-27 | 22 |
| „მაღაროელი“ | 19 | 8 | 6 | 5 | 30-25 | 22 |
| „მეტალურგი“ | 19 | 8 | 5 | 6 | 33-27 | 21 |
| „მზიური“ | 18 | 7 | 5 | 6 | 31-31 | 19 |
| „დინამო“ ზ. | 13 | 8 | 2 | 3 | 33-19 | 18 |
| „დინამო“ გ. | 17 | 8 | 2 | 7 | 37-34 | 18 |
| „სამეგრელო“ | 19 | 8 | 2 | 9 | 26-39 | 18 |
| „საპოვნელა“ | 19 | 7 | 4 | 8 | 31-35 | 18 |
| „სქური“ | 17 | 7 | 3 | 7 | 22-18 | 17 |
| „სიონი“ | 17 | 7 | 3 | 7 | 34-33 | 17 |
| „სულორი“ | 18 | 6 | 5 | 7 | 24-25 | 17 |
| „დურუჯი“ | 19 | 7 | 1 | 11 | 22-43 | 15 |
| „ივერია“ | 17 | 5 | 5 | 7 | 25-29 | 15 |
| „არმაზი“ | 17 | 2 | 7 | 8 | 15-23 | 11 |
| „არაგვი“ | 18 | 3 | 4 | 11 | 15-34 | 10 |
| „ბახტრიონი“ | 18 | 3 | 4 | 11 | 17-37 | 10 |
| ფიზკ. ინსტ. | 16 | 3 | 1 | 12 | 21-32 | 7 |

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

# ვითომ ყველა აღმზრდელია?

ლაგოდეხში მოეწყო „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკური პირველობა ნორჩ ფეხბურთელთა შორის სამივე ასაკობრივ ჯგუფში. განვლილი შეჯიბრების შესახებ გვესაუბრება საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი ფეხბურთში ოტია ჟორდანია:

2-დან 7 ივლისამდე გაიმართა 17-16 წლის ჭაბუკთა პირველობა. აქ I ადგილი დაიკავა ოზურგეთის გუნდმა, რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა, მოთამაშეები გამოირჩეოდნენ მაღალი სათამაშო დისციპლინით და ბურთის ფლობის კარგი ტექნიკით (გამარჯვებულ გუნდს ზ. ჯინჭარაძე წვრთნის), II ადგილზე გავიდა ლაგოდეხის, ხოლო მესამეზე — თეთრწყაროელთა კოლექტივი.

8-დან 15 ივლისამდე ასპარეზობაში ჩაბმულნი იყვნენ საშუალო ასაკის ნორჩი ფეხბურთელები, სადაც ფავორიტად ითვლებოდა გარდაბნის გუნდი, რომელიც შარშან უმცროსი ასაკის გუნდებს შორის ჯერ რესპუბლიკის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. გარდაბნელები მართლაც გამოირჩეოდნენ სხვა გუნდებისგან, მათ ყველა შეხვედრაში დამსახურებულად გაიმარჯვეს და საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვეს (მწვრთნელი მ. ალიევი), II ადგილზე გავიდა გაგრის გუნდი, ხოლო მესამეზე ოზურგეთელი ფეხბურთელები არიან.

15-დან 23 ივლისამდე ჩატარდა შეჯიბრება 13-12 წლის ფეხბურთელთა შორის. ძლიერი გუნდები ჰყავდათ რუსთავს, ვანს, ლაგოდეხს. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს სამი კოლექტივი და თბილისის გუნდი გავიდნენ კიდეც ფინალურ ოთხეულში, ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა რუსთავის გუნდმა (მწვრთნელი მ. გოგლიძე), II ადგილზე გავიდნენ ლაგოდეხის, ხოლო მესამეზე — ვანელი ფეხბურთელები.

მესამე წელია „ტყავის ბურთის“ გათამაშების მთავარი მსაჯი ვარ, ამ წლებში საკმაო გამოცდილება დამიგროვდა ამ შეჯიბრების ავკარგზე და მინდა ვთქვა, რომ „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშება უკვე აღარ არის საჭირო. ეს იმიტომ, რომ დღეს ყველა რესპუბლიკას, სამრეწველო ცენტრს, დიდ ქალაქებსა და რაიონებს იმდენი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა აქვთ, რომ აღარ არის საჭირო ბავშვების ძებნა და მათი სპეცსკოლებში დამაგრება. „ტყავის ბურთის“ პრიზზე მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა ის ბავშვებია, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ სპორტსკოლებში, ზოგი „ვაი-მწვრთნელი“ მათ ყალბ საბუთებს უკეთებს, წინასწარ არიგებს ბავშვებს, თუ გკითხონ, დადიხარ თუ არა სპორტსკოლაში, უარი უთხარით და ეს ფრაზა ისე დაზეპირებინეს ბავშვებს, რომ საატესტაციო კომისიაში როცა ვეკითხებოდით, რომელ წელსა ხარ დაბადებული? პასუხობდნენ: „სპორტსკოლაში არ დავდივარო“. მართალია, „ტყავის ბურთზე“ მოასპარეზე გუნდების მწვრთნელები საზოგადოებრივ საწყისებზე, უხელფასოდ მუშაობენ, მაგრამ განა შეიძლება ყველას ვანდოთ ბავშვების აღზრდა? როცა მწვრთნელი ბავშვებს სიყალბისკენ მოუწოდებს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასეთი „აღმზრდელი“ უფასოდ აკეთებს ამას, თუ საამისო ანაზღაურებას ღებულობს.

რა აქვს საერთო ბავშვებთან ისეთ აღმზრდელს, როგორიც ფოთის უმცროსი ასაკის ბავშვებს ახლდა. მწვრთნელმა ცქვიტაიამ ფოთის გუნდი ჩამოიყვანა, საატესტაციო კომისიამ შემოწმების შემდეგ იგი დაუშვა, მაგრამ ცქვიტაიამ თამაშის დღეს განაცხადა, გუნდს საასპარეზოდ არ გამოვიყვანო. მიზეზად მოიტანა ის, რომ კომკავშირის ქალაქკომის წარმომადგენელი არ წამომყვა და ამიტომაც უარს ვამბობ მონაწილეობაზეო. არავითარმა საუბარმა და თხოვნამ არ გაჭრა, გუნდი მან არ ათამაშა. ჩამოსვლის მესამე დღეს ცქვიტაიამ ხელი მოჰკიდა მშიერ ბავშვებს და ავტოსადგურში წაიყვანა. ჩვენ დავეწიეთ მათ, ბავშვები დავაბრუნებინეთ, მწვრთნელმა კი გაბრაზებულმა მიატოვა კოლექტივი და წავიდა. მესამე დღეს ბავშვებს ფოთიდან მოაკითხა ავტობუსმა და წაიყვანა, განა ასეთ პიროვნებას შეიძლება ვანდოთ ბავშვების ბედიღბალი?

ჭიათურამ (მწვრთნელი ე. გაგნიძე) მეტად სუსტი გუნდი მოავლინა და პირველი თამაში, რაღა თქმა უნდა, დიდი ანგარიშით წააგო. მორიგ თამაშზე რუსთავის წინააღმდეგ მან უკვე საკმაოდ ძლიერი გუნდი გამოიყვანა. გამოირკვა, რომ 5 მოთამაშე სხვა გუნდებიდან სახელდახელოდ [illegible]. ცხადია, ჭიათურულები მოხსნეს გათამაშებიდან.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ალბათ მკაცრად იმსჯელებს იმ „ვაი-მწვრთნელების“ და ადგილობრივი კომკავშირის რაიკომების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს. საქმე გვაქვს საქართველოს ფეხბურთის ხვალინდელ დღესთან, მის მომავალთან, ბავშვებთან, უფლება არავის აქვს, ისინი აქედანვე მიაჩვიონ სიყალბესა და ტყუილს. ეტყობა ერთი რამ უნდა დაწესდეს: თუ გუნდი გათამაშებიდან მოიხსნება, მის ხელმძღვანელობას უნდა დაეკისროს მთელი ხარჯების ანაზღაურება.

წლევანდელ გათამაშებაში საკმაოდ მაღალი იყო მსაჯობის დონე. განსაკუთრებით მინდა ოზურგეთელი დათო და გოჩა ჯინჭარაძეების კვალიფიციური და ობიექტური მსაჯობა გამოვყო.

უნდა აღვნიშნო, აგრეთვე, რომ ლაგოდეხის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ნორჩ ფეხბურთელებს და მსაჯებს კარგი პირობები შეუქმნეს ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# „მაჯიკ“ ჯონსონი

იგი თანამედროვე პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო ვარსკვლავია და სავსებით კანონზომიერი იყო, რომ 1988-89 წლის სეზონის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ „მაჯიკ“ ჯონსონი აღიარეს.

„თანამედროვე ამერიკელთა შორის იგი, ალბათ, ერთადერთი კაცია, ვისი ნამდვილი სახელიც — ირვინი, მხოლოდ შინაურ წრეებში თუ ახსოვთ, ხოლო შერქმეული მეტსახელი — „მაჯიკი“ (ჯადოქარი) მის ერთადერთ ნამდვილ და საქვეყნოდ აღიარებულ სახელად იქცა“, — წერს ჟურნალი „ჰიუპი“.

ირვინ ჯონსონს ეს მეტსახელი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ბრწყინვალე თამაშის გამო შეარქვეს. პასები, რომლის დროსაც ვერ გაიგებ თუ საიდან აღმოჩნდება ბურთი პარტნიორის ხელში, თამაში დაცვაში, როცა მისი მეტოქე „მეურვე“ თითქოს ქრება მოედნიდან, მოულოდნელი ტყორცნები ურთულესი მდგომარეობიდან. უცნაური მეტამორფოზები საკუთარ თუ მეტოქის ფარქვეშ... მოკლედ თამაშის ჯადოქრული, მაგიური სტილი. აი, რა ახასიათებს ამ კალათბურთელს და რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მისი მეტსახელი.

ამერიკის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) რიგებში გამოჩენისთანავე ეს 203 სმ სიმაღლის მოთამაშე ერთ-ერთ უძლიერეს მცველად აღიარეს. „მაჯიკმა“ დიდად შეუწყო ხელი 1980 წელს „ლეიკერსის“ გამარჯვებას ნბა-ს ჩემპიონატში. იგი საუცხოოდ ამარაგებდა საგოლე გადაცემებით გუნდის ძირითად ცენტრს ქერიმ აბდულ ჯაბარს. 1987 წელს მან მესამედ მოიპოვა „პლეი-ოფში“ ყველაზე სასარგებლო მოთამაშის პრიზი. „ლეიკერსმა“, მას შემდეგ, რაც მის რიგებში ჯონსონი გამოდის, მეხუთედ მოიგო კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატი. მიუხედავად ამისა, მას ჯერ ყველა წარმატებისთვის არ მიუღწევია და ყველაფერი, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ წინ აქვს.

ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებებს მან ამ სეზონში შედეგიანობაც დაუმატა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ასისტენტობაში“ სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 977 საგოლე პასი, რითაც ლიგის ისტორიაში მესამე ადგილზე გავიდა.

როგორც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ უფროსი მწვრთნელი პატ რეილი აღნიშნავს, ორიოდე წლის წინათ „მაჯიკ“ ჯონსონის თამაშმა გარკვეული მეტამორფოზა განიცადა. აი, რას ამბობს რეილი: „კალათში ტყორცნების დახვეწა ჯონსონისათვის, ალბათ, დიდი თავგანწირვა არ იყო, მაგრამ სათამაშო ამპლუის შეცვლამ მას მაინც შეუქმნა გარკვეული სირთულეები სეზონის დასაწყისში. მანაც სძლია თავს და დეკემბერში, როცა ალლო აუღო შედეგიანი ცენტრის როლს, სხვა დისკომფორტი მთლიანად გაქრა. ამით გუნდმა დიდად მოიგო“.

ძნელი წარმოსადგენია ჯონსონზე უფრო მეტად სასარგებლო მოთამაშე. მან საკალათბურთო ტექნიკის სამ ელემენტში — თამაშიდან ჩაგდებული ბურთები, ფარიდან ახლეტილი ბურთების დაუფლება, საგოლე გადაცემები, აჩვენა შედეგი, რომელიც ორნიშნა ციფრით გამოიხატებოდა. ასეთი წარმატება ჯონსონამდე არავის ჰქონია.

საუცხოოდ ითამაშა „მაჯიკ“ ჯონსონმა „პლეი-ოფის“ სერიის მატჩებში. 1986-87 წლების 18 მატჩში მისი შედეგიანობა იყო 26,8 ქულა, რაც თამაშიდან ტყორცნაში 53,9% გახლავთ, 219 საგოლე გადაცემა და მხოლოდ 13-ჯერ დაკარგა ბურთი და 14-ჯერ ჩაჭრა მოწინააღმდეგის გადაცემა, თითო მატჩში საშუალოდ გუნდს შესძინა 26,2 ქულა, ჩააგდო თამაშიდან ნასროლი ბურთების 54,1%. გააკეთა 78 საგოლე გადაცემა. 25 საჯარიმო სროლიდან — 24.

ასეთ დიდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დატვირთვას თან სდევდა ტრავმებიც, მისი კოჭლობა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ეს მყესების დაჭიმულობა იყო და აი, სწორედ აქ გამოჩნდა ის ახალი სასწაული, რომელსაც იზოკვადრონი ჰქვია. ესაა მასაჟისტის ჰარი ვიტის მიერ შეთავაზებული ახალი მალამო, რომლითაც „მაჯიკი“ ყოველ დღე იზელდა ფეხებს.

„მას შემდეგ რაც მისი ხმარება დაიწყო — ამბობს ვიტი — ჯონსონი ყოველ დილით ისე ილვიძებს, თითქოს ოჩოფეხებზე იდგეს. ლოგინიდან ძლივს დგება და ავეჯზე დაუყრდნობლად მოძრაობა ძალიან უჭირს. ათიოდე წუთი გავარჯიშების შემდეგ ეს მოუქნელი სახსრები შეკუმშულ ზამბარასავით მძლავრი და „მხტუნავი“ ხდება“.

„მთელი ზაფხული ეს საოცარი მალამო ბალიშის ქვეშ მედო და მისი იმედით ვიღვიძებდი“ — ამბობს ჯონსონი.

1987 წელს „ბოსტონ სელტიქსთან“ ჩატარებულ სერიაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ „მაჯიკ“ ჯონსონი და ლარი ბიორდი. მართალია, მეტოქეებმა თამაშში უშუალო დაპირისპირებას თავი აარიდეს, მაგრამ მათი შედეგების ურთიერთშედარება მაინც შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ ბიორდს ახასიათებს საოცრად ლამაზი და უაღრესად შედეგიანი სროლების სერია ნებისმიერი მანძილიდან. ამიტომ მიმომხილველთა უმეტესობა ჯონსონს მხოლოდ მეორე ადგილს მიაკუთვნებს ბიორდის შემდეგ. საგულისხმოა ისიც, რომ ნბა-ს ფინალურ მატჩებში, როცა ეს ორი მოთამაშე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, ჯონსონის გუნდმა მოიგო 11 მატჩი, ხოლო ბიორდისამ — 8. 1979 წლის შემდეგ ჯონსონის გუნდი ხუთჯერ იყო ჩემპიონი, ბიორდი კი სამჯერ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 1979 წელს სტუდენტურ ჩემპიონატში ჯონსონის მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა ბიორდის ინდიანას უნივერსიტეტი“.

„მაჯიკ“ ჯონსონმა წლევანდელი სეზონი ჩინებულად ჩაატარა და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ლიგის უძლიერესი მოთამაშის წოდება, მაგრამ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ ამჯერად ხელი მოეცარა და ვერ აისრულა სანუკვარი ოცნება, ზედიზედ მესამედ მოეპოვებინა — ნბა-ს ჩემპიონის ტიტული. ფინალური სერია „დეტროიტ პისტონსთან“ საკმაოდ რელიეფურად წარმოჩინდა, თუ რას ნიშნავს „ლეიკერსისათვის“ — „მაჯიკ“ ჯონსონი. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „დეტროიტის“ მშრალი ანგარიშით გამარჯვებას (4:0). გარკვეულწილად ჯონსონის ტრავმამაც შეუწყო ხელი. ეს რომ არა, ფინალური სერია, ალბათ, უფრო უკომპრომისო ბრძოლაში ჩაივლიდა.

მოამზადეს მერაბ კალანდაძემ, ავთანდილ მაღრაძემ.

## „სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 32-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 4-7 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.240.025 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (131) მოგება 370 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.845) — 34 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (24.256) — 14 მანეთი.

საქართველოში: 13-8 (6 თბილისი, ლანჩხუთი, ხაშური), 12-138, 11-1102.

32-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 28 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 32-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 6 აგვისტოს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.290.300 ვარიანტი. 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო. 5 ნომრის გამოცნობისთვის (34) მოგება 1.138 მანეთია, ოთხისთვის (1.877) — 30, სამისთვის (33.129 — 3.

საქართველოში: 6—0, 5—0, 4-39, 3—738.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 13.388.492 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5924) — 127, სამისთვის (167.295) — 6.

საქართველოში: 5—0, 4—246, 3—4716.

32-ე ტირაჟისა და 23-32 ტირაჟებში მონაწილე ატტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 21 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

პროფკავშირების ნფსს საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის რესპუბლიკური სკოლა აწარმოებს 1977-1978, 1979-1980 და 1981-1982 წლებში დაბადებული ბავშვების მიღებას როგორც ბიჭების, ისე გოგონათა ჯგუფების დასაკომპლექტებლად.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 სექტემბრიდან ყოველ დღე, 9-დან 12 საათამდე და 15-დან 18 საათამდე, ხოლო კვირა დღეს —10-დან 14 საათამდე. ბავშვებმა თან უნდა იქონიონ ჯანმრთელობის ცნობა.

გოგონებისა და ბიჭების შესარჩევად მოწვეული არიან წამყვანი სპეციალისტები, გამოცდები იწარმოებს „სინათლის“ სტადიონზე (ავჭალა).

ამავე სტადიონზე პარალელურად ყალიბდება ქალთა ფეხბურთის გუნდი, რომელშიც ჩაირიცხებიან 16 წლისა და უფროსი გოგონები და ქალები.

მსურველებს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს (თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №95-ა, 313 ოთახი).

პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის დირექცია.

სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ დირექცია გაცნობებთ, რომ დახურული საცურაო აუზი მუშაობას შეუდგება მიმდინარე წლის 20 აგვისტოდან. აქ ყალიბდება ცურვის შემსწავლელი (ბავშვებისათვის) და გამაჯანსაღებელი (მოზრდილთათვის) ჯგუფები. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ოთხჯერ.

ცნობებისთვის დარეკეთ: 39-26-14. მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 6.

სპორტკომპლექსის ადმინისტრაცია.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის

„შევარდენის“ სტადიონი

17 აგვისტო

ფეხბურთი

II ლიგა, IX ზონა

„შევარდენი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

# გადარჩენილი ნახევარი მილიონი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ამერიკელებმა სპეციალური პრემია (ნახევარი მილიონი დოლარი) დააწესეს იმ მძლეოსნისთვის, რომელიც ბობ ბიმონის მსოფლიო რეკორდს გააუმჯობესებდა სიგრძეზე ხტომაში (ეს ნახტომი 890-სმ-ზე, რომელიც ამერიკელმა სპორტსმენმა 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე განახორციელა მაშინვე მონათლა XXI საუკუნის შედეგად). შეჯიბრება [illegible] გაიმართა ლოს-ანჯელესში 6 აგვისტოს, მაგრამ მასში მონაწილეობა არ მიუღიათ არც მთავარ ფავორიტს კარლ ლუისს და არც საბჭოთა მხტომელებს, რომელთაგან ამერიკელებს. განსაკუთრებით აინტერესებდათ ევროპის რეკორდსმენის რობერტ ემიანის გამოსვლა.

გამარჯვება ლოს-ანჯელესის სტადიონზე მოიპოვა მეორე ამერიკელმა ლარი მირიქსმა — 8 მ. 52 სმ. მეორე ადგილზეც მისი თანამემამულე, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი მაიკ პაუელი გავიდა — 8 მ. 37 სმ. ბიმონის რეკორდი ამჯერადაც გადარჩა.

საინტერესო ბრძოლას მოელოდნენ მაყურებლები სიმაღლეზე ხტომის სექტორშიც, სადაც ერთმანეთს ეპაექრებოდნენ მსოფლიოს რეკორდის (244 სმ) მფლობელი კუბელი ჰავიერ სოტმაიორი და სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჰოლის კონვეი. მაგრამ ფავორიტებმა თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნეს. სოტომაიორმა 235 სანტიმეტრი დასძლია, კონვეიმ კი 230.

საქართველოს სპორტსახკომის აპარატის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ხელბურთში ვლადიმერ მურადოვს მამის გარდაცვალების გამო.

3485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10440